

20 ივნისი, 2017

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს
ქალბატონ ნინო ბუჩიძეს
მოსარჩელები: ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას
შოთა ბუჩუკურის
ზაზა წიკლაურის

განცხადება

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაში ადმინისტრაციული საქმე #3/8151-16 ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას, ზაზა წიკლაურის და შოთა ბუჩუკურის სარჩელისა გამო მოპასუხეების საქართველოს მთავრობის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე.

საქართველოს ასკ-ის 1.2, მე-4, მე-19 მუხლების, საქართველოს სკ-ის 215.1 მუხლის თანახმად, წინამდებარე საქმეზე დასართავად წარმოგიდგენთ შემდეგ მტკიცებულებებს:

1. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილის 2015 წლის 23 სექტემბრის #6751 წერილი შპს "ენერგოტრანსი"-ს დირექტორს ბატონ კახა სეხნიაშვილს. აღნიშნული წერილით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო შპს "ენერგოტრანსი"-ს შენიშვნებს, წინასწარი განხილვის მიზნით 2015 წლის 30 ივლისს (#506) წარმოდგენილ, 500 კვ-იანი „ქსანი-სტეფანწმინდა“ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე. წერილში აღნიშნულია რომ **„ზემოაღნიშნული შენიშვნები გათვალისწინებული უნდა იქნეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სამინისტროში ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარმოდგენამდე, რათა სამინისტროს შეეძლოს კანონით დადგენილი წესით დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემა“**. შენიშვნების უმეტესობა ენერგოტრანსის მიერ არ ყოფილა გათვალისწინებული რაც დასტურდება საქმეში არსებული მასალებით (გზშ I ტომი, გვერდი 478- 484), თუმცა სამინისტრომ დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა მაინც გასცა.

2. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილის 2016 წლის 15 მარტის წერილი #1949 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის მოადგილეს ბატონ ასტამურ აჩბას.

„ასევე გაცნობებთ, რომ 2015 წლის 30 ივლისს შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ სამინისტროში წარმოდგენილ იქნა 500 კვ-იანი „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში წინასწარი/საჯარო განხილვის მიზნით. სამინისტროს მიერ მომზადდა შესაბამისი შენიშვნები და გადაეგზავნა საქმიანობის განმახორციელებელს, სადაც აღნიშნული იყო, რომ ეკოლოგიურ ექსპერიზაზე წარმოდგენილ ანგარიშში განხილული უნდა ყოფილიყო პროექტის განხორციელების ისეთი ალტერნატიული ვარიანტი, რომელიც არ გადაკვეთდა ყაზბეგის ეროვნული პარკის ვიზიტორთა და ტრადიციული გამოყენების ზონებს და მინიმუმამდე შეამცირებდა ყაზბეგის ეროვნული პარკის მაღალმთიან ტყის ეკოსისტემებზე ზემოქმედების რისკებს. (დანართის სახით გიგზავნით სამინისტროს მიერ გაგზავნილ შენიშვნებსა და წინასწარ/საჯარო განხილვაზე წარმოდგენილ GIS კოორდინატებს). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან „ენერგოტრანსი“-ს ელექტროგადამცემი ხაზი „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს ქსნის ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაანამდე (პკ.0+პკ.327+44-მდე), 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მონაკვეთი წარმოდგენილია განსხვავებული კოორდინატებითა და შესაბამისად განსხვავებული, შემცირებული ტრასით, აღნიშნულმა პროექტმა თავიდან უნდა გაიაროს წინასწარი/საჯარო განხილვის ეტაპი“. პროექტს საჯარო განხილვის ეტაპი თავიდან არ გაუვლია, რაც „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ შესახებ კანონის მე-6 მუხლის უხეში დარღვევაა.

3. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილის 2016 წლის 17 მაისი #3760 წერილი სსიპ ტექნიკური და სამშებლო ზედამხედველობის საგენტოს უფროსს - ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ.

წარმოდგენილი წერილი არის გასაჩივრებული აქტის გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ნაწილი. 2017 წლის 3 აპრილის სხომაზე ჩვენ მივუთითეთ მხარეს რომ წარმოების მასალებში არ იყო წარმოდგენილი აღნიშნული წერილი, რაზეც სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა რომ მოიძიებდა წერილს და მომდევნო სხდომაზე გადმოგვცემდა. 2017 წლის 22 მაისის სხდომაზე წერილი არ ყოფილა წარმოდგენილი, ამდენად „გამორჩენილ“ დოკუმენტს ჩვენ წარმოვადნეთ. საგულისხმოა, რომ წერილის თანახმად, მინისტრის მოადგილე ადმინისტრაციული წარმოებისათვის კანონით დადგენილი ვადის გაზრდას შემდეგი საფუძვლით ითხოვს: „გაცნობებთ, რომ ეკოლოგიური ექსპერტიზის პერიოდში სამინისტროს ორგანიზებით მოხდა ადგილობრივი მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებული მხარის ჩართვა, მათი მოთხოვნის შესაბამისად. გაიმართა საჯარო განხილვა, რომლის დროსაც გამოიკვეთა რიგი საკითხები, მათ შორის პროექტით ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების კუთხით, რომლებიც მოითხოვს დამატებით შესწავლას“. ვადის გაგრძელების შესახებ მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა პროექტით ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ჩატარებული დამატებითი შესწავლის და/ან წამოჭრილი საკითხის უსაფუძვლობის ამსახველი რაიმე დოკუმენტი წარმოების მასალებში არ მოიპოვება.

მოგახსენებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები ჩვენთვის ხელმისაწვდომი მხოლოდ 2016 წლის 8 ივნისს გახდა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის № 09/845 წერილით, რომლითაც შოთა ბუჩუკურს გადაეცა ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების ნაწილი, რომელიც არ ყოფილა შპს „ენერგოტრანსის“ კომერციულ საიდუმლოებად მიჩნეული.

პატივისცემით,

მოსარჩელები:

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელი
ნინო გუჯარაიძე

შოთა ბუჩუკური

ზაზა წიკლაური



**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის
სამინისტრო**
**MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF
GEORGIA**



KA060140594278816

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

1949

15 / მარტი / 2016 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და
სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს
უფროსის მოადგილეს ბატონ ასტამურ აჩბას

ბატონო ასტამურ,

სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 26 თებერვლის #04/282 წერილი, რომელიც ეხება შპს „ენერგოტრანსი“-ს ელექტროგადამცემი ხაზი „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს ქსნის ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუანამდე (კვ.0+კვ.327+44-მდე) 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მონაკვეთის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხს.

წარმოდგენილი ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების საზღვრებში.

წარმოდგენილ shp ფაილში მითითებული 2492899 კვ.მ. ფართობიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს N299 დადგენილებით დამტკიცებულ სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით 1027771 კვ.მ. ფართობი მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში. შესაბამისად, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე საქმიანობა საჭიროებს შეთანხმებას ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, მაღალი ძაბვის (35 კვტ და მეტი) საჰაერო და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანა წარმოადგენს ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობას.

ასევე გაცნობებთ, რომ 2015 წლის 30 ივლისს შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ სამინისტროში წარმოდგენილ იქნა 500 კვ-იანი „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში წინასწარი/საჯარო განხილვის მიზნით. სამინისტროს მიერ მომზადდა შესაბამისი შენიშვნები და გადაეგზავნა საქმიანობის განმახორციელებელს, სადაც აღნიშნული იყო, რომ ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ანგარიშში განხილული უნდა ყოფილიყო პროექტის განხორციელების ისეთი ალტერნატიული ვარიანტი, რომელიც არ გადაკვეთდა ყაზბეგის ეროვნული პარკის ვიზიტორთა და ტრადიციული გამოყენების ზონებს და მინიმუმამდე შეამცირებდა ყაზბეგის ეროვნული პარკის მაღალმთიან ტყის ეკოსისტემებზე ზემოქმედების რისკებს. (დანართის სახით გიგზავნით სამინისტროს მიერ გაგზავნილ შენიშვნებსა და წინასწარ/საჯარო განხილვაზე წარმოდგენილ GIS კოორდინატებს).



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის
სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF
GEORGIA



KA060164666062415

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. №6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

6751

23 / სექტემბერი / 2015 წ.

შპს "ენერგოტრანსი"-ს დირექტორს ბატონ კახა სეხნიაშვილს

ბატონო კახა,

გიგზავნით შენიშვნებს, თქვენს მიერ წინასწარი განხილვის მიზნით 2015 წლის 30 ივლისს (#506) წარმოდგენილ, 500 კვ-იანი "ქსანი-სტეფანწმინდა" ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე:

1. ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშის შემარბილებელ ღონისძიებებში, დასკვნებსა და რეკომენდაციებში, ასევე ყველა თანდართულ დოკუმენტაციაში განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებლობას უნდა იღებდეს საქმიანობის განმახორციელებელი. შესაბამისად, დოკუმენტაციის მთელი ტექსტი შედგენილი უნდა იყოს პირველ პირში სადაც ნათლად იქნება მითითებული, რომ ყველა ვალდებულებას იღებს უშუალოდ საქმიანობის განმახორციელებელი და არა კონტრაქტორი ან/და სხვა ნებისმიერი ორგანიზაცია.
2. წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, ელექტროგადამცემი ხაზები კვეთს ყაზბეგის ეროვნული პარკის ვიზიტორთა და ტრადიციულ გამოყენების ზონებს. ტრადიციულ ზონას კვეთს 340 მ-ის სიგრძის და 90 მეტრის სიგანის ფართობზე, ხოლო ვიზიტორთა ზონას 60 მ სიგრძის და 60 მ სიგანის ფართობზე. საქართველოს მთავრობის #84 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის - "ყაზბეგის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი"-ს მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, ტრადიციული გამოყენების ზონაში "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 27¹ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, დაშვებულია სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობა“, ხოლო ვიზიტორთა ზონაში ზემოაღნიშნული ქმედებების განხორციელება დაუშვებელია. შესაბამისად, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში განხილული უნდა იყოს პროექტის განხორციელების ისეთი ალტერნატიული ვარიანტი, რომელიც არ კვეთს ყაზბეგის ეროვნული პარკის ვიზიტორთა და ტრადიციულ გამოყენების ზონებს და მინიმუმამდე ამცირებს ყაზბეგის ეროვნული პარკის მაღალმთიან ტყის ეკოსისტემებზე ზემოქმედების რისკებს. აქვე დამატებით გაცნობებთ, რომ ყაზბეგის ეროვნულ პარკში მიმდინარეობს გერმანიის რეკონსტრუქციის და განვითარების საკრედიტო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტი „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში - საქართველო“, პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენს ყაზბეგის ეროვნულ პარკში არსებული ბიომრავალფეროვნების დაცვის/კონსერვაციის, აღდგენის და მართვის გაუმჯობესების შესაძლებლობების განვითარებას, ასევე პროექტი ითვალისწინებს რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციო-ეკონომიკური პროექტების დაფინანსებას.
3. საპროექტო ტერიტორია ნაწილობრივ მოიცავს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების #100074, #0000217, #1002357 კონტურებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დოკუმენტის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენამდე საჭიროა საკითხი შეთანხმდეს ლიცენზიის მფლობელთან, რათა დაცული იქნეს როგორც ლიცენზიანტის უფლებები, ასევე გამოირიცხოს საქმიანობის განხორციელების ხელისშემშლელი გარემოებები. გაცნობებთ, რომ შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი თან უნდა ახლდეს ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას.
 4. ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, როგორც მშენებლობის ასევე ექსპლუატაციის ეტაპისათვის, რომელშიც ასახული იქნება ბიომრავალფეროვნებაზე დაკვირვების საკითხები, განსაკუთრებით საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი სახეობებთან მიმართებაში, ასევე ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს მშენებლობისა და ოპერირების ფაზების გარემოსდაცვითი მართვის გეგმები.
 5. ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში, მოცემული უნდა იყოს პროექტის დაზუსტებული დეტალები და მასთან მიმართებაში ჩატარებული დეტალური კვლევები ბიომრავალფეროვნებასთან მიმართებაში, (განსაკუთრებით საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილ სახეობებთან მიმართებით), ასევე ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი შემარბილებელი საკომპენსაციო ღონისძიებები.
 6. ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია მიწის სამუშაოთა მოცულობის შესახებ.
 7. ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო უბნების გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების შესახებ.
 8. წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ "გამოვლენილია სხვადასხვა ხარისხისა და სირთულის მონაკვეთები". ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული უნდა იყოს: საპროექტო ანძების განთავსების ტერიტორიების დეტალური გეოლოგიური პიკეტაჟური აღწერა; მაღალი გეოლოგიური საშიშროების ზონებში დეტალური, სავსე გეოლოგიური კვლევების შესახებ ინფორმაცია და ანალიზი; საშიში გეოლოგიური პროცესების მონიტორინგის გეგმა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები; არსებული მეწყერსაშიში, ღვარცოფული, ზვავსაშიში ზონების, ასევე ყველა აქტიური ან ისტორიულად აქტიური გეოდინამიკური პროცესების შესახებ ინფორმაცია, შესაბამის რუკების თანხლებით.
 9. ეკოლოგიური ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია სამშენებლო მოედნის ფარგლებში წყალმომარაგებისა და სანიტარული კანალიზაციის შესახებ.
 10. ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ჭრას დაქვემდებარებული ხე-მცენარეების სახეობებისა და რაოდენობის შესახებ.
 11. იმ შეტხვევაში, თუ საქმიანობის განმავლობაში განხორციელდება წყალჩვევა ზედაპირული წყლის ობიექტში, საჭიროა შემუშავდეს და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმდეს ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების ანგარიში (ზდჩ).
 12. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი Shp ფაილების მიხედვით ეგხ-სთვის განკუთვნილი მთლიანი მიწის ფართობია 8811460 კვ.მ., საიდანაც 2736161,83 კვ.მ. „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს № 299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდს. ანგარიშის ეკოლოგიურ

ექსპერტიზაზე წარმოდგენამდე ზემოაღნიშნული საკითხი უნდა შეთანხმდეს ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.

13. ეკოლოგიური ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშში უნდა აისახოს შემდეგი სახის ინფორმაცია: მონაცემები საშენებლო ბანაკების განთავსების ადგილის შესახებ; გზებისა და ანძების, მიწის ფართობის საკუთრების ფორმის, ფართობის, ნიადაგური მდგომარეობის, მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობის, ნიადაგის ნაყოფიერ ფენასთან დაკავშირებით ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ. წარმოდგენილ ინფორმაციას უნდა ერთვოდეს სქემატური ნახაზები. საშენებლო ბანაკების შემთხვევაში ინფრასტრუქტურის განთავსების ჩვენებით. გზშ-ს ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ფართობის ნიადაგის სტრუქტურა დაირღვევა და ხდება თუ არა ქვესადგურის ტერიტორიაზე ნიადაგის ჰუმუსური ფენის მოხსნა. ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა იმ მიწის ნაკვეთების GIS კოორდინატების, სადაც განხორციელდება ნაყოფიერი ფენის მოხსნა. ყოველ კონკრეტულ ფართობზე განისაზღვროს მოსახსნელი ნაყოფიერი ფენის მოცულობა და მიეთითოს დასაწყობების ადგილის GIS კოორდინატები.
14. ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის ნარჩენების და რა რაოდენობის წარმოქმნა მოსალოდნელი.
15. ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მითითებული ტერმინები შესაბამისობაში უნდა იყოს ნარჩენების მართვის კოდექსის მე-3 მუხლთან.
16. ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში, ნარჩენების მართვის თავში, გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს და მისგან გამომავალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნები და ვალდებულებები;
17. ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში, საპროექტო რეგიონში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია მათი რაოდენობების შესახებ სახეობებისა და კატეგორიების მიხედვით, რომელთა კლასიფიკაცია უნდა განხორციელდეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ მიხედვით;
18. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის № 31 ბრძანებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშში უნდა მოიცავდეს პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობის, ასევე დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიის ალტერნატივების განსაზღვრას. ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ელექტროგადამცემი ხაზების განთავსების რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი, უნდა დასაბუთდეს, თუ რა გარემოსდაცვითი კრიტერიუმების მიხედვით მოხდა შემოთავაზებული ალტერნატივის შერჩევა და აქვე უნდა განიმარტოს, თუ რატომ არ გააჩნია სტეფანწმინდის მონაკვეთის ანძების განთავსების სხვა ალტერნატიული ვარიანტი.
19. ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები იმ სახელმწიფო უწყებებთან და ორგანიზაციებთან, რომელთა კომპეტენციის სფეროსაც განეკუთვნება გადაწყვეტილების მიღება საქმიანობის პროექტირების სხვადასხვა სტადიის განხორციელებასთან დაკავშირებით ცალკეულ ასპექტებზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების თანახმად, ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შედეგების განხილვის მასალები, ძირითადად უთანხმოებათა აღწერით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

თქვენს მიერ ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში უნდა მოიცავდეს და თან უნდა ერთვოდეს „გარემოზე ზემოქმედების შეფასების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მაისის №31 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტაცია.

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტაციასთან ერთად, ეკოლოგიურ

ექსპერტიზაზე განსახილველად უნდა წარმოადგინოთ ტექნიკური რეზიუმე (დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო გადაწყვეტილება) და არატექნიკური რეზიუმე, გრაფიკული და სხვა საილუსტრაციო მასალის თანდართვით. წინააღმდეგ შემთხვევაში სამინისტრო მოკლებული იქნება შესაძლებლობას ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის მიზნით დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

ზემოაღნიშნული შენიშვნები გათვალისწინებული უნდა იქნეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სამინისტროში ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარმოდგენამდე, რათა სამინისტროს შეეძლოს კანონით დადგენილი წესით დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემა.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე



მაია ბითაძე



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის
სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF
GEORGIA



KA060128005359016

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

3760

17 / მაისი / 2016 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსს
ბატონ გრიგოლ კაკაურიძეს

ბატონო გრიგოლ,

მიმდინარე წლის 19 აპრილს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მშენებლობის ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოების მეორე სტადიაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში თქვენს მიერ წარმოდგენილ იქნა განცხადება (#04/647; 15.04.2016), რომელიც ეხება შპს „ენერგოტრანსი“-ს 500 კვ „ქსანისტეფანწმინდა“ ს ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემას.

გაცნობებთ, რომ ეკოლოგიური ექსპერტიზის პერიოდში სამინისტროს ორგანიზებით მოხდა ადგილობრივი მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებული მხარის ჩართვა, მათი მოთხოვნის შესაბამისად. გაიმართა საჯარო განხილვა, რომლის დროსაც გამოიკვეთა რიგი საკითხები, მათ შორის პროექტით ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების კუთხით, რომლებიც მოითხოვს დამატებით შესწავლას. აღნიშნულის გათვალისწინებით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, უზრუნველყოთ ადმინისტრაციული წარმოებისათვის კანონით დადგენილი ვადის გაზრდა 27 მაისის ჩათვლით და შესაძლოდ მოკლე ვადაში გვაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილება ვადის გაგრძელების თაობაზე.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

მია ბითაძე

